

შპს „დონა 2005“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ინფორმაცია

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 3
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება ----- 4
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ----- 5
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება..... 6

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 12
- ახსნა-განმარტებითი შენიშვნები..... 13
- საწარმოს უწყვეტობის განხილვა 16
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 16

შპს „დონა 2005“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	5	147142	92188
სავაჭრო მოთხოვნები	6	9713	3067
სხვა მოთხოვნები	7	5328	7972
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	173500	380180
სხვა მიმდინარე აქტივები	8	0	0
სულ მიმდინარე აქტივები		335683	483407
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	899084	812258
არამატერიალური აქტივები		850	850
სულ გრძელვადიანი აქტივები		899934	813108
სულ აქტივები		1235617	1296515
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		10649	10018
საგადასახადო ვალდებულებები		25254	27272
სხვა ვალდებულებები		0	0
სულ ვალდებულებები	9	35903	37290
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		0	100000
გაუნაწილებელი მოგება		1199714	1159225
სულ საკუთარი კაპიტალი		1199714	1259225
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1235617	1296515

დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 27 ივლისის
დირექტორი
არჩილ ბოლქვაძე



7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დონა 2005“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ნეტო ამონაგები	10	7879163	6278839
საქონლის გაყიდვიდან		7879163	6278839
სხვა შემოსავალი		0	0
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	11	(5742820)	(4461347)
- საწყისი მარაგი		(380180)	(302604)
- მარაგების შესყიდვა		(5417230)	(4438060)
- გადამუშავების დანახარჯები		(118910)	(100863)
- საბოლოო მარაგი		173500	380180
საერთო მოგება		2136343	1817492
სხვა შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1449379)	(945735)
ცვეთა/ამორტიზაცია		(143177)	(144767)
სხვა ხარჯი	12	(445143)	(401350)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2037699)	(1491852)
საოპერაციო მოგება/ზარალი		98644	325640
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	13	3765	593
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		102409	326233
მოგების გადასახადი		(9288)	(9288)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		93121	316945
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი		1259225	1176912
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება		(100000)	(182000)
გაცემული დივიდენდი		(52632)	(52632)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		1199714	1259225

დამტკიცებულია და ხელმოწერილია - 2024 წლის 22 ივლისს

დირექტორი

არჩილ ბოლქვაძე



7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დონა 2005“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<u>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის</u>			
<u>მდგომარეობით</u>	<u>282000</u>	<u>894912</u>	<u>1176912</u>
2022 წლის მონაცემები	(182000)	316945	134945
2022წ. დივიდენდი		(52632)	(52632)
<u>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის</u>			
<u>მდგომარეობით</u>	<u>100000</u>	<u>1159225</u>	<u>1259225</u>
2023 წლის მონაცემები	(100000)	93121	(6879)
2023წ. დივიდენდი		(52632)	(52632)
<u>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის</u>			
<u>მდგომარეობით</u>	<u>0</u>	<u>1199714</u>	<u>1199714</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია - 2024 წლის 22 იანვარს
დირექტორი
არჩილ ბოლქვაძე



შპს „დონა 2005“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	9209780	7378686
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე		
გაცემული ფულადი სახსრები	(6861714)	(5699723)
გადახდილი ხელფასები	(1139300)	(743600)
გადახდილი გადასახადები(გარდა მოგებისა)	(747221)	(546831)
სხვა	0	0
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	<u>461545</u>	<u>388532</u>
გადახდილი მოგების გადასახადი	(9288)	(9288)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>452257</u>	<u>379244</u>
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების		
შემენასა და გაუმჯობესებისათვის	(250685)	(104114)
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაში	<u>(250685)</u>	<u>(104114)</u>
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	0	0
ფულადი სახსრების გასვლა - კაპიტალის შემცირება	(100000)	(182000)
დივიდენდის გადახდა	(50000)	(50000)
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	3382	0
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	<u>(146618)</u>	<u>(232000)</u>
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა(გასვლა)		
წლის განმავლობაში	<u>54954</u>	<u>43130</u>
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	0	0
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	92188	49058
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	<u>147142</u>	<u>92188</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია - 2024 წლის 22 აგვისტოს

დირექტორი

არჩილ ბოლქვაძე



7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დონა 2005“ დაფუძნდა 2012 წლის 26 აპრილს ქალაქ ბათუმში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის 100%-ანი წილის მფლობელი დაფუძნებიდან 31/12/2023 წლისათვის - არჩილ ბოლქვაძე, პ/ნ 61001016265, საქართველო.

კომპანია დარეგისტრირებულია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 445409059.

კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2012 წლის 27 აპრილიდან.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს - არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

- ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება, არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს საფირმო პროდუქციის წარმოება საქართველოში და რეალიზაციას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა, N 113- 121/16.

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა, N 113- 121/16

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს.

კომპანია წარადგენს :

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
- 2023 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
- 2023 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას;
- 2023 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა;

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში(ტერმინალით ჩარიცხვებს). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (ფუნქციონალური ვალუტა). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (ლარი).

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საკრედიტო პირობების შემთხვევაში დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები არამიმდინარედ აისახება, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება **საშუალო შეწონილი მეთოდით**.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება - ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ 7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები - შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმ მდგომარეობაში იქნება, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	30
მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები	8-10
ოფისის აღჭურვილობა	5-7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით, ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

საწესდებო კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადებისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც გადახდილი საგადასახადო ავანსები.

ამონაგების აღიარება

საქონლის / მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის გამოშვებარეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. მნიშვნელოვანი საარღიჯვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმოს, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას გათვალისწინებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სამართლებრივი პროცედურები

პერიოდულად საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის არ ფიქსირდება კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნა, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები

შინაარსი	შენიშვნა	იჯარით აღებული კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები, მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება	199432	65214	907516	78704	112224	1363090
აკუმულირებული ცვეთა	23822	41554	410419	27765	47272	550832
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022წ 31 დეკემბერი	175610	23660	497097	50939	64952	812258
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
2021წ. 31 დეკემბერი	182258	31867	558748	42388	53097	868358
2022წ. აქტივის დანამატი	0	0	56448	19452	28214	104114
2022წ. აქტივის გასვლა	0	0	(14125)	(1312)	(10)	(15447)
აქტივის 2022წ. ცვეთა	(6648)	(8207)	(103974)	(9589)	(16349)	(144767)
2022წ. 31 დეკემბერი	175610	23660	497097	50939	64952	812258
2023წ. აქტივის დანამატი	0	0	152378	57097	41210	250685
2023წ. აქტივის გასვლა	0	0	(6537)	(8266)	(5879)	(20682)
აქტივის 2023წ. ცვეთა	(6648)	(7857)	(102343)	(13170)	(13159)	(143177)
2023წ. 31 დეკემბერი	168962	15803	540595	86600	87124	899084
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
2022წ 31 დეკემბერი	175610	23660	497097	50939	64952	812258
2023წ 31 დეკემბერი	168962	15803	540595	86600	87124	899084

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2023	2022
საქონელი	5407	5123
ნედლეული და მასალები	168093	375057
მზა პროდუქცია	0	0
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	<u>173500</u>	<u>380180</u>

5. ფულადი სახსრები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2023	2022
ნაღდი ფული	3721	181
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	76277	37054
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
ფული გზაში(ტერმინალი)	67144	54953
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	<u>147142</u>	<u>92188</u>

6. სავაჭრო მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	9713	3067
სულ სავაჭრო მოთხოვნები	<u>9713</u>	<u>3067</u>

სავაჭრო მოთხოვნები წარმოშობილია მიმდინარე ადგილობრივი მოთხოვნებით.

7. სხვა მოთხოვნები	2023	2022
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	5328	7972
ავანსად გადახდილი გადასახადები	0	0
სულ სხვა მოთხოვნები	<u>5328</u>	<u>7972</u>

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0
სულ მიმდინარე აქტივები	<u>0</u>	<u>0</u>

9. სულ ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	10649	10018
საგადასახადო ვალდებულებები	25254	27272
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	<u>35903</u>	<u>37290</u>
კომპანიას აქვს მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები		

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

10. ამონაგები

კომპანიის შემოსავლის მთავარი წყაროა - საკონდიტრო ნაწარმის წარმოება-რეალიზაცია ადგილობრივ მომხმარებელზე.

სტაბილურად იზრდება წარმოება და შესაბამისად კომპანიის რეალიზაცია.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ძირითად და დამხმარე მასალების დანახარჯებს და საწარმოო გადამუშავების დანახარჯებს.

12. სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები	2023	2022
იჯარის ხარჯი	80400	80400
კომუნალური, კომუნიკ. ხარჯი	52914	59301
საკონსულტაციო ხარჯი	45500	39000
საბანკო ხარჯი	110262	91941
საგადასახადო ხარჯი	10776	12453
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	124609	105243
ძირითადი საშუალებების გასვლა	20682	13012
სულ სხვა ხარჯი	445143	401350

13. სხვა შემოსავლები

სარგებელი დეპოზიტზე	3382
უსასყიდლო მოწოდება	383
სულ სხვა შემოსავალი	3765

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში, 2024 წელს კომპანიამ გადაწყვიტა გაფართოება, რისთვისაც შეიძინა ახალი ფართი და შესაბამისი აღჭურვილობა, 2024 წლის 1 ივნისს გაიხსნა შპს დონა 2005-ის ახალი ფილიალი.

კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.